

\* \* \*

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,  
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,  
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იმვრის ჩემს გულში,  
და მე არ ვჩივი,- მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861წ.  
ყვარელი.